სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/76

ქ. თბილისი 26 მარტი 2018

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან საჭადრაკო ცენტრის – „გამსვლელი პაიკის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის უფროსის, გ. კულდონაშვილის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 მარტის №4 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შეიქმნას თვითდაფინანსებითი საჭადრაკო ცენტრი „გამსვლელი პაიკი“ ;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს აღნიშნული საკითხი;
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს სტუ-ის სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის უფროსი გ. კულდონაშვილი;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**